ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7894093

ნომერი: AR11139245

თარიღი : 21.04.2026

გაცემის თარიღი : 24.04.2026

გაცნობის თარიღი : 24.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა, N 27ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დანი ქოსაშვილი პ/ნ 01024076393
- ფანასკერტელ-ციციშვილის 18გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 21 აპრილის №AR11139245 განცხადებით მომართა დანი ქოსაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 21

აპრილის №7888950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა №27ა-ში, (ს/კ №01.11.05.016.006); კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე არსებული №2/1 შენობა/ნაგებობის დემონტაჟის პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 21 მაისის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 21 აპრილის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2026 წლის 08 აპრილის №AR11137752 განცხადებით შენობის დემონტაჟის წარმოების გრაფიკი წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებით დემონტაჟის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 21 მაისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 21 მაისის ჩათვლით“
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 21 აპრილის №7888950 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.